კომუნიკაციების კომისიის მიერ „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება

შესავალი

2021 წლის 1 თებერვალს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაქვეყნა №-21-18/22 გადაწყვეტილება, რომლითაც სამართალდამრღვევად ცნო შპს „მთავარი არხი“ მის ეთერში გასული ერთ-ერთი სიუჟეტისათვის. სიუჟეტი კომისიის აზრით შეიცავდა უხამსობას და ამდენად ეწინააღმდეგებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოალიციის „მედია ადვოკატირებისათვის“ წევრმა ორგანიზციებმა მწვავედ გააკრიტიკეს და აღნიშნეს, რომ კომისიას რეალურად მაუწყებლის შინაარსის გაკონტროლების და გასული სიუჟეტის „უხამსობად“ მიჩნევის კანონიერი უფლებამოსილება არ ჰქონდა. გამოქვეყნებულ განცხადებაში ვრცელი მსჯელობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის კომისიის გადაწყვეტილება უკანონო და თვითრეგულირების ორგანოს ფუნქციის შეთავსების მცდელობა.[1] GDI სრულად იზიარებს აქამდე გაკეთებულ შეფასებებს, თუმცა საჭიროდ თვლის საზოგადოებას მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც კომისიის უფლებამოსილების მიღმა, მიღებული გადაწყვეტილების მოტივაციაში იკითხება. კერძოდ ამ ნაშრომის მიზანია შეაფასოს და წარმოაჩინოს კომისიის მიერ საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების ცალმხრივი და მანიპულაციური განმარტება.

1. ფაქტობრივი გარემოებები

საქმე ეხება შპს „მთავარი არხის“ ეთერში 2020 წლის 12 დეკემბერს გასულ გადაცემას „მთავარი შაბათი“, სადაც 21:57 საათზე განთავსდა სიუჟეტი. იგი შეეხებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას. სიუჟეტის პირველ ნაწილში ნაჩვენებია პარლამენტის დარბაზში მყოფი საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ივანე მაჭავარიანი, რის შემდეგაც კადრი გადატანილია მის შარვალთან და ჩანს როგორ იკიდებს ხელს შარვალზე ფინანსთა მინისტრი. კადრს მოჰყვა ჟურნალისტის სიტყვები: „აგერ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა მართალია სხეულის ენით, მაგრამ ძალიან გარკვევით და გასაგებად გვაჩვენა რის გაკეთებას აპირებს მეათე მოწვევის პარლამენტი“. ამის შემდეგ, ჟურნალისტმა დაამატა: „ჩვენი პარლამენტი და პრეზერვატივი მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ პრეზერვატივში მხოლოდ ერთი (ისმის ჩახველება) ეტევა და პარლამენტში კიდევ ბევრი.“

[1] იხ. განცხადების სრული ვერსია აქ <https://gdi.ge/ge/news/koalicia-mediis-advokatirebisatvis-28-01-2021.page >

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „მთავარი არხი“ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის გამო ცნო სამართალდამრღვევად, თუმცა გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

2. სამართლებრივი შეფასება

კომისიამ სადავო სიუჟეტი სამი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:

(ა) შეიცავს თუ არა პროგრამა ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;

(ბ) აქვს თუ არა საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო ქმედებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება;

(გ) ილახება თუ არა პროგრამის განთავსებით ადამიანის ან მოქალაქის ღირსება და ძირითადი უფლებები.

თითოეულ კრიტერიუმზე მსჯელობისას კომისია დაეყრდნო სხვა ქვეყნების გამოცდილებას და ამ იურისდიქციებში არსებულ რამოდენიმე გადაწყვეტილებას. ქვემოთ განხილულია სწორედ ეს გადაწყვეტილებები.

2.1. არაეთიკური ქმედების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო, ლიტერატურული ან სხვაგვარი ღირებულება

ამ საკითხზე მსჯელობისას კომუნიკაციების კომისია აღნიშნავს: „უცხო ქვეყნების მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ორგანოები (და სასამართლოები) უხამსი, არაეთიკური კონტენტის შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ არა მთელი პროგრამის, არამედ - კონტენტის არაეთიკური ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან მეცნიერულ ღირებულებასა და კონტექსტით გამართლებულობაზე.“[2] აღნიშნულის გასამყარებლად კი კომისიას მაგალითად ორი გადაწყვეტილება მოჰყავს: ა) გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელი ორგანოს - Ofcom-ის გადაწყვეტილება და ბ) აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ძალაში დარჩა აშშ-ს ფედერალური კომუნიკაციების კომისიის (FCC) გადაწყვეტილება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელი ორგანოს - Ofcom-ის გადაწყვეტილება Radio Caroline, 30 September 2019

ამ გადაწყვეტილებაში მარეგულირებელმა რადიოს მიერ სამაუწყებლო სტანდარტების დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ რადიოს ეთერში განთავსდა მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური ჯგუფის “Radiohead”-ის ნაწარმოები “Creep”. მართალია მარეგულირებელმა

[2] საართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის N გ-21-18/22 გადაწყვეტილება შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე, 13

ორგანომ მიიჩნია, რომ უცენზურო სიტყვის ("Fu***king") რამდენიმეჯერ ეთერში განთავსება არ იყო კონტექსტით გამართლებული, თუმცა მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მან დააყრდნო სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც არ არის რელევანტური შპს „მთავარი არხზე" გასული სიუჟეტის შემთხვევაში და ზოგადად საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან.

- პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ <u>კონტექსტით გამართლება არა ბრიტანეთის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, არამედ მარეგულირების მიერ მიღებული სპეციალური აქტის- მაუწყებლობის კოდექსით (The Ofcom Broadcasting Code) განსაზღვრული მოთხოვნაა,</u> რომლის 2.3. წესში ვკითხულობთ: „ზოგადი სტანდარტების გამოყენებისას მაუწყებლებმა უნდა უზერუნველყონ, რომ მასალა რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეურაცხყოფა, გამართლებულია კონტექსტით. ასეთი მასალა მოიცავს, (თუმცა არ ამოიწურება) შეურაცხმყოფელ ენას...." აღნიშნულისგან განსხვავებით საქართველოს რეალობაში არც ერთ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტში არაა რაიმე მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სიუჟეტის უხამსად შეფასებისას არა მთლიანად სიუჟეტის ღირებულება, არამედ კონკრეტული ქმედების ღირებულება/კონტექსტი უნდა შეფასდეს (განსხვავებით, მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისგან, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა, რომელიც შეიცავს „შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონტექსტით გამართლებულია";). <u>შესაბამისად, განსხვავებით ბრიტანული Ofcom-ისგან, კომუნიკაციების კომისია მხოლოდ პირადი შეხედულებებით ხელმძღვანელობს და არა ეროვნული კანონმდებლობის და რეგულაციების მოთხოვნებით.</u>
- ამავდროულად, <u>ბრიტანეთში მოქმედი ეს წესი არ არის დაკავშირებული კონკრეტულად უხამსობის განმარტებასთან</u> და პროგრამის შინაარსის ღირებულების შეფასებასთან. იგი ეხება მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხმყოფელ მასალას, რომელიც დამამცირებელი, ღირსების შემლახველი, დისკრიმინაციულია. ეს კი არა არის უხამსობის იდენტური და შესაბამისად მსგავსი ანალოგიის გაკეთებას დამატებითი მტკიცებულება და ახსნა სჭირდებოდა.
- აღსანიშნავია, რომ <u>ამ საქმეში თავად რადიოს წარმომადგენელმა აღიარა, რომ გაშვებული უცენზურო სიტყვები იყო მხოლოდ და მხოლოდ შეცდომის შედეგი, რომლის განზრახვაც რადიოს თანამშრომლებს არ ჰქონიათ,</u> ხოლო ბოდიში მსმენელებს იმიტომ არ მოუხადეს, რომ ამ შეცდომის შესახებ მათ დღეების დაგვიანებით შეიტყვეს. ამდენად, საქმეში თავიდანვე ცხადი იყო, რომ შეურაცხმყოფელი ლექსიკის გავრცელებას არ ჰქონია რაიმე ღირებულება და ეს საკითხი ფაქტობრივად სადავო არ ყოფილა. აღნიშნულისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „მთავარის" ეთერში გასული სიუჟეტში არ დაშვებულა შეცდომა. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით სიუჟეტს, სადავო ნაწილის ჩათვლით ჰქონდა კულტურული და პოლიტიკური ღირებულება. ამ შემთხვევაში კომუნიკაციების კომისიას კი უნდა დაესაბუთებინა სწორედ ის, თუ რატომ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სადავო პასაჟი პოლიტიკურ სატირად.

- და ბოლოს თუნდაც გავითვალისწინოთ გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებაში გამოყენებული კრიტერიუმების გამოყენებით კომუნიკაციების კომისია სწორედ რომ საპირისპირო დასკვნამდე უნდა მისულიყო. კერძოდ, გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელმა ორგანომ ყურადღება გაამახვილა რადიოში ნაწარმოების განთავსების დროსა და მსმენელის მოლოდინზე. როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან დადგინდა, ნაწარმოები "Creep" განთავსებული იყო ისეთ დროს, რომ მაყურებელს/მსმენელს ვერ ექნებოდა უცენზურო სიტყვის მოსმენის მოლოდინი. გარდა ამისა, მიღებულ გადაწყვეტილებაში კომისიამ განმარტა, რომ უცენზურო სიტყვების კონტექსტით გასამართლებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს: (1) იმაზე, თუ რა ტიპის სერვისს აწვდის კონკრეტული მაუწყებელი; (2) უცენზური გამონათქვამების ეთერში განთავსების დროზე; (3) მაყურებლის მოლოდინზე - რამდენად შეეძლო მაყურებელს განეჭვრიტა ასეთი სახის გამონათქვამის კონკრეტულ მაუწყებელზე/კონკრეტულ დროს განთავსება.

საჭიროდ მივიჩნევთ გაერთიანებული სამეფოს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე განვიხილოთ შპს „მთავარ არხზე" განთავსებული სიუჟეტის კონტექსტი.

(1) რა ტიპის სერვისს აწვდის გადაცემა „მთავარი შაბათი"

შპს „მთავარ არხის" გადაცემა „მთავარ შაბათში" ხშირად ისმის პოლიტიკური შეფასებები ქვეყანაში არსებული მოვლენების შესახებ. ეს შეფასებები ხშირად სწორედაც რომ მწვავე და კრიტიკულია. ყოველ კვირა აღნიშნულ გადაცემაში გადის სხვადასხვა სიუჟეტი, რომლებიც პოლიტიკურ ღირებულებას ატარებს და აქედან გამომდინარე, გადაცემის აუდიტორიაც არის მკაფიოდ განსაზღვრული - მაყურებლისთვის ცნობილია, რომ სერვისი, რომელსაც მას აწვდის „მთავარი შაბათი", დაკავშირებულია პოლიტიკური მოვლენების შეფასებასთან და ზოგჯერ მწვავე კრიტიკასთან, რომელიც შოკისმომგვრელი ფორმებითაც კი შეიძლება გადმოიცეს.

(2) სიუჟეტის ეთერში გასვლის დრო

შპს „მთავარ არხში" სიუჟეტი განთავსდა 21:57 საათზე. „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების თანახმად, ასეთ დროს დაუშვებელია 15-18 წლამდე არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსება.[3] თუმცა, ამავე კანონით 15-18 წლამდე არასრულწლოვნებისათვის შეუფერებლად მიჩნეული პროგრამის[4] არც ერთი მოთხოვნა არ დარღვეულა. აღსანიშნავია, რომ ეს სადავო არც კომისიას არ გაუხდია და აღნიშნული მუხლის დარღვევა არ დაუდგენია. ამდენად, სიუჟეტი არ გასულა ისეთ დროს, როდესაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო მსგავსი ფორმის/შინაარსის მქონე გადაცემის გაშვება.

(3) მაყურებლის მოლოდინი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს „მთავარ არხზე" გასულ გადაცემაში ხშირად არის განხილული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება. აქედან გამომდინარე, მაყურებელს სრულად აქვს მოლოდინი რომ „მთავარ შაბათში" განთავსებულ სიუჟეტებს ექნებათ პოლიტიკური

[3] „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-5 პუნქტის ა' და ბ' ქვეპუნქტები.
[4] „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

ღირებულება, რაც თავისთავად შეიძლება მოიცავდეს კრიტიკასა თუ სარკაზმს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტის თავისუფლება ხშირად მოიცავს გარკვეული ხარისხის გადამეტებას და პროვოკაციასაც კი.[5] შესაბამისად, მაყურებლისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მოცემულ გადაცემაში პოლიტიკური კრიტიკა, რომელიც სარკაზმის სახით იქნებოდა გადმოცემული, სავსებით მოსალოდნელია. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სიუჟეტის განთავსების დროს და გადაცემის შინაარსს.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელმა ორგანომ მიღებული გადაწყვეტილებით უცენზურო სიტყვის ("Fu***king") რამდენჯერმე ეთერში განთავსება არ მიიჩნია კონტექსტით გამართლებულად, აღნიშნული მაგალითი შპს „მთავარი არხის" ეთერში განთავსებული სიუჟეტის უხამსობად ჩათვლისათვის რელევანტური ვერ იქნება ფაქტობრივ გარემოებებსა და კონტექსტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო.

გ) აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაგალითად ასევე მოიყვანა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ძალაში დარჩა აშშ-ს ფედერალური კომუნიკაციების კომისიის (FCC) გადაწყვეტილება. FCC-მ მაუწყებლის მიერ კანონმდებლობის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ პირდაპირ ეთერში გადაიცა მსოფლიოში ცნობილი კომიკოსის, ჯორჯ კარლინის იუმორისტული მონოლოგი „შვიდი ბინძური სიტყვა". მოცემულ შემთხვევაშიც განსახილველია ის გარემოებები, რაზე დაყრდნობითაც მიიღო აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ <u>მაუწყებლის მიერ კანონის დარღვევა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული გადაცემა მიმდინარეობდა შუადღეს, მაშინ, როდესაც მსმენელთა/მაყურებელთა შორის ყოველგვარი ეჭვის გარეშე იქნებოდნენ არასრულწლოვნებიც.</u> მარეგულირებელმა კომისიამ ამ საქმეში განმარტა, რომ „მას არასდროს განუზრახავს ასეთი ფორმის ლექსიკის გადაცემის აბსოლუტური აკრძალვა, არამედ ის მიისწრაფვოდა იმისკენ, რომ იგი გადაცემულიყო დღის იმ მონაკვეთში, როდესაც ბავშვები მაღალი ალბათობით მას არ მოუსმენდნენ." (Page 438 U. S. 733). <u>განსხვავებით აღნიშნული შემთხვევისაგან, შპს „მთავარ არხზე" სიუჟეტი გავიდა 21:57 საათზე, რაც არ არის დღის მონაკვეთი და ამ დროს მოლოდინი იმისა, რომ მას არასრულწლოვანებიც ნახავენ/მოისმენენ ბევრად დაბალია.</u> მართალია ამ დროს დაუშვებელია 15-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსება - თუმცა, პოლიტიკური სატირა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ამერიკული მარეგულირებელი კომისია მოქმედებდა იმ სამართლებრივი აქტით, რომელიც კრძალავას „ნებისმიერ უხამსობას, შეუფერებელ/უზრდელურ ან ბილწ ენას რადიომაუწყებლობისას" („any obscene, indecent, or

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *E.K v Turkey*, § 79-80.

profane language by means of radio communications“). ფედერალურმა კომისიამ ამ შემთხვევაში სადავო მასალა არა უხამსობად, არამედ შეუფერებლად/უზრდელობად („indecent”) მიიჩნია (Page 438 U. S. 732). ეს უკანასკნელი კი ასევე აკრძალული იყო განხილული სამართლებრივი აქტით. აღნიშნულისგან განსხვავებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (56-ე მუხლის მე-4 პუნქტით) მხოლოდ უხამსი შინაარსის პროგრამას კრძალავს.

გარდა ამისა, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გადაცემის კონტექსტი/შინაარსი პოლიტიკური ანდა სატირული რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად იქნებოდა დაცვის ღირსი.[6] (Page 438 U. S. 746). „მთავარი არხის“ შემთხვევაში, განთავსებულ სიუჟეტში ჟურნალისტის შემდეგი სიტყვებიდან: „...გვაჩვენა რის გაკეთებას აპირებს მეათე მოწვევის პარლამენტი“, „ჩვენი პარლამენტი პრეზერვატივისგან მხოლოდ იმით განსხვავდება...“ , ასევე პარლამენტის კადრებიდან და სიუჟეტის შინაარსიდან გამომდინარე (სიუჟეტში საუბარი იყო საპარლამენტო არჩევნებში ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის შესახებ) ნათლად იკვეთება, რომ გადაცემის შინაარსი მთლიანად პოლიტიკური იყო, ხოლო სადავო პასაჟი სატირული. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე „მილლერი კალიფორნიის წინააღმდეგ“ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად კი, მაშინ, როდესაც გამონათქვამს გააჩნია პოლიტიკური ღირებულება, ის ვერ იქნება მიჩნეული უხამსობად.

აქედან გამომდინარე, კომისიის მიერ მოყვანილი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე FCC v. Pacifica Foundation ვერ იქნება რელევანტური, არამედ პირიქით, აშშ-ს პრაქტიკა სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ პოლიტიკური/სატირული ღირებულების მქონე ნაშრომები თუ გამონათქვამები ვერ ჩაითვლება უხამსობად და დაუშვებელია მათი შეზღუდვა. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიის მიერ განხილული გადაწყვეტილების მოხმობა და საკუთარი მოიტვაციის ამერიკულ პრაქტიკაზე დაყრდნობა ერთგვარად პარადოქსულიც კია.

რომ შევაჯამოთ, ამ ნაწილში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოხმობილი საქმეები არარელევანტურია, ვინაიდან: ა) ამ საქმეებში სადავო მასალის მისი ღირებულების ნაცვლად კონტექსტით შეფასება სამართლებრივ აქტებში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარეობდა და არა კომისიის პირადი შეხედულებებიდან; ბ) არც ერთ მოხმობილ საქმეში დღის წესრიგში არ დამდგარა მასალის „უხამსად“ მიჩნევის საკითხი. მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებული ჩანაწერებიდან გამომდინარე შესაფასებელი იყო მხოლოდ ამ მასალის „შეუფერებელი“ ანდა „შეურაცხმყოფელი“ ხასიათი. შესაბამისად ერთ კატეგორიასთან მიმართებით სხვა ქვეყნების მიერ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენება მეორე კატეგორიაზე (ამ შემთხვევაში „უხამსობაზე“) თვითნებურია და მას სულ მცირე ახსნა სჭირდებოდა; გ) თუნდაც მოხმობილ საქმეებში დადგენილი სტანდარტი რელევანტური ყოფილიყო, ამ კრიტერიუმების გამოყენებით კომუნიკაციების კომისია საპირისპირო დასკვნებამდე უნდა მისულიყო, ვინაიდან მოხმობილი საქმეების საწინააღმდეგოდ, გასული

[6] აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1978 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „FCC v. Pacifica Foundation“, ხელმისაწვდომია აქ: < https://supreme.justia.com/cases/federal/us/438/726/ >

სიუჟეტის დრო და კონტექსტი იყო განსხვავებული და მას გააჩნა პოლიტიკური და სატირული შინაარსი.

2.2. ღირსების/ძირითადი უფლების დარღვევა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* დადგინდა (*Handyside vs. UK*), რომ სიტყვის თავისუფლებით დაცულია ისეთი ინფორმაციაც, რომელიც შეურაცხმყოფელი და შოკისმომგვრელია, ეს არ გამორიცხავს გამოხატვის შეზღუდვას. კომისიის განმარტებით აღნიშნულზე მეტყველებს სწორედ ისიც, რომ მოცემულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნია და დარღვევა არ დაადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობაში ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ლეგიტიმური მიზნის არსებობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ყოველი საქმის განხილვის დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რატომ არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა სასამართლომ საქმეზე *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და რატომ არ არის კონკრეტული გადაწყვეტილება რელევანტური შპს „მთავარი არხის“ სიუჟეტის შემთხვევაში.

ჰენდისაიდის საქმეზე, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს მკითხველთა წრეზე და დაადგინა, რომ ის აშკარად იყო განკუთვნილი ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის თორმეტიდან თვრამეტ წლამდე, რომელიც სასკოლო სივრცეშიც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმძღვანელო შეიცავდა წინადადებებსა და პარაგრაფებს, „რომლებიც ახალგაზრდებს, თავიანთი განვითარების კრიტიკულ ეტაპზე, შეიძლებოდა აღექვათ, როგორც წახალისება, ნება მიეცათ საკუთარი თავისათვის ნაადრევად წამოეწყოთ საქმიანობა, რომელიც ზიანის მომტანი იყო მათთვის, ხოლო ზოგჯერ თვით ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისაკენაც კი.“[7] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ახალგაზრდების მორალის დაცვა მიიჩნია ლეგიტიმურ მიზნად.

განსხვავებით აღნიშნული გადაწყვეტილებისაგან, საქართველოს კონსტიტუცია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად არ ასახელებს საზოგადოებრივ მორალს. გარდა ამისა, შპს „მთავარ არხზე“ განთავსებული სიუჟეტი და მთლიანად გადაცემა არ იყო გამიზნული არასრულწლოვანებისათვის. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, სიუჟეტის შინაარსიდან და პოლიტიკური სატირიდან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს, რომ ის რაიმე ხელშესახები ზიანის მომტანი იქნებოდა მათთვის ან წაახალისებდა მათ რომ წამოეწყოთ მათთვის საზიანო საქმიანობა.

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v UK*, § 52

მეტიც, სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაში, რომელსაც აქტიურად ციტირებს კომუნიკაციების კომისია, ვკითხულობთ: „ცხადია, მშობელი თავისუფალია, აღზარდოს შვილი საკუთარი ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით და იქონიოს გავლენა მის მორალურ, მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებაზე. თუმცა სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ მშობელს აქვს უფლება, მოითხოვოს მაუწყებლისაგან (ან სხვა კერძო პირებისგან), რომ მათ გადასცენ მხოლოდ ისეთი გადაცემები, რომელიც ესადაგება მის ზნეობრივ ნორმებს. მაუწყებლის მიერ კონკრეტული მშობლისთვის ზნეობრიობის თვალსაზრისით მიუღებელი პროგრამის გადაცემა ვერ ჩაითვლება მშობლის აღნიშნული თავისუფლების ხელყოფად და, შესაბამისად, ამ ასპექტში არც სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს.“[8] ამ საქმეში მოსარჩელე პრობლემად მიიჩნევდა სწორედ „უზნეო და უხამსი გადაცემების არსებობას, რომლებიც, მისი აზრით, მავნე ზეგავლენას მოახდენენ მოზარდის სულიერებაზე, ზნეობაზე, მის „სწორ განვითარებაზე“. ამასთან, ის დაობდა, რომ „არასრულწლოვნის სულიერების, მისი ზნეობის არასასურველი მიმართულებით განვითარება, იმავდროულად, არასრულწლოვნის ფსიქიკისთვის, ფიზიოლოგიისთვის და ფიზიკური მდგომარეობისათვის არის ზიანის მომტანი“.[9]

კომუნიკაციების კომისია შპს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში სწორედ ანალოგიურ მსჯელობას ავითარებას და აღნიშნავს: „მოცემულ შემთხვევაში სიუჟეტში გამოყენებული არაეთიკური გრაფიკული გამოსახულება და გამონათქვამები შეიცავს ხელშესახებ საფრთხეს არასრუწლოვანი აუდიტორიის ნორმალური ფიზიკური, მენტალური და მორალური განვითარებისათვის. არასრულწლოვანი აუდიტორიის ნორმალური ფიზიკური, მენტალური და მორალური განვითარებისათვის ხელისშემშლელია ისეთი სამაუწყებლო პროგრამის ყურება/მოსმენა, რომელიც შეიცავს გენიტალიების (ან მათი სილუეტების) გამოსახულებებს, უხამს შედარებებს ადამიანებსა და გენიტალიებს შორის.“[10]

მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში მსგავს ზნეობრივ საკითხებზე სასამართლოში დავის შესაძლებლობა არასრულწლოვანების მშობლებსაც კი არ მისცა, მით უფრო ცხადია, რომ კომუნიკაციების კომისია ვერ იქნება ის სუბიექტი, რომელმაც უნდა დაარეგულიროს მაუწყებლობა არასრულწლოვანთა მორალურ, ზნეობრივ გარემოში აღზრდის მიზნით. „მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7

[9] იქვე

[10] საართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის N გ-21-18/22 გადაწყვეტილება შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე, 21

ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები."[11]- აღნიშნავს სასამართლო.

შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების აღნიშნული არგუმენტით შეზღუდვა გაუმართლებელია და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებთან.

2.3. აუდიტორიის დაცვა

კომისიამ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკმარის საფუძვლად მიიჩნია მაყურებლის უფლებათა დაცვა. ის დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგ განმარტებას: „აუდიოვიზუალურ მედიას ხშირად აქვს უფრო მყისიერი და ძლიერი ეფექტი, ვიდრე ბეჭდურ მედიას", რის გამოც კომისიამ ჩათვალა, რომ აუდიოვიზუალურ მედიას მეტად შეეძლო მაყურებლის უფლებების შეზღუდვა და შესაბამისად მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტიც თითქოს უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევებში.

მიუხედავად მედიასაშუალებების შესაძლო განსხვავებული ეფექტებისა, რაც თავისმხრივ საკმაოდ სადავოა თანამედროვე ეპოქაში, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რომ ეს *a priori* არ ნიშნავს გამოხატვის თავისუფლების უფრო დაბალი სტანდარტის გავრცელებას აუდიოვიზუალურ მედიაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მარტო გამოთქმული იდეებისა და შეხედულებების შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც.[12]

ევროსასამართლომ არაერთხელ აღნიშნა ხაზგასმით აუდიოვიზუალურ სექტორში პლურალიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობა: „დემოკრატიულ საზოგადოებაში, აუდიოვიზუალურ სექტორში ნამდვილი პლურალიზმის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის რამდენიმე არხის არსებობა ან იმის თეორიული დაშვება, რომ პოტენციური ოპერატორები იქონიებენ წვდომას აუდიოვიზუალურ ბაზარზე. აუცილებელია, ამასთანავე დაშვებული იქნას ეფექტიანი წვდომა ბაზარზე რათა გარანტირებულ იქნას ზოგადი პროგრამების შინაარსის მრავალფეროვნება, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ასახავს იმ საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებას, რომელზეც არის გათვლილი მოცემული პროგრამები."[13] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების დაცვას ფუნდამენტურად მიიჩნევს მაშინაც, როდესაც საკითხი ეხება აუდიოვიზუალურ მედიას. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქმეზე *Jersild v Denmark* (რომელიც კომუნიკაციების კომისიას ჰქონდა მოხმობილი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად)

---

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-7

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Jersild v Denmark*, § 31

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy*, § 129.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. ეს კი იმის მიუხედავად, რომ საქმე ეხებოდა ისეთ სენსიტიურ საკითხს, როგორიც არის რასობრივი დისკრიმინაცია და ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვეოდა, რომ აუდიოვიზუალურად მოხდა რასობრივი გამონათქვამების გადმოცემა, რასაც შესაძლოა ჰქონოდა ძლიერი საზოგადოებრივი ეფექტი.

აღნიშნული საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა: (1) სიუჟეტის მიზანზე, რაც არა რასისტული შეხედულებებისა და აზრების პროპაგანდა, არამედ ამ კუთხით არსებულ პრობლემაზე საუბარი იყო[14] და (2) აუდიტორიაზე - სატელევიზიო პროგრამა, რომელიც ეხებოდა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, განკუთვნილი იყო ინფორმირებული აუდიტორიისათვის, რომლისთვისაც ცნობილი იყო გადაცემის კონტექსტი.[15] ყოველივე ამის გათვალისწინებით კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა სახელმწიფოს მიერ არ იყო გამართლებული.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა ევროსასამართლოს აღნიშნული მსჯელობა და გადაწყვეტილება „მთავარი არხის“ ეთერში გასული სიუჟეტის შესახებ შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა გამოეტანა:

(1) „მთავარ შაბათში“ განთავსებული სიუჟეტის მიზანი

„მთავარ შაბათში“ განთავსებული სიუჟეტების უმრავლესობა ეხება ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენების შეფასებას. ანალოგიურად, 2020 წლის 12 დეკემბერს განთავსებული სიუჟეტი, შეეხებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას, რასაც შემდგომში მოჰყვა ჟურნალისტის სიტყვები: „აგერ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა მართალია სხეულის ენით, მაგრამ ძალიან გარკვევით და გასაგებად გვაჩვენა რის გაკეთებას აპირებს მეათე მოწვევის პარლამენტი“ და „ჩვენი პარლამენტი და პრეზერვატივი მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ პრეზერვატივში მხოლოდ ერთი (ისმის ჩახველება) ეტევა და პარლამენტში კიდევ ბევრი.“

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სიუჟეტის მთავარი მიზანი იყო არა კონკრეტულ პირთა ან მაყურებელთა შეურაცხყოფა ან მათი ძირითადი უფლებების დარღვევა, არამედ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ახალარჩეული პარლამენტის მხილება და მისი კრიტიკული შეფასება, რაც ჟურნალისტმა პოლიტიკური სატირის გამოყენებით გადმოსცა.

(2) სატელევიზიო პროგრამა „მთავარი შაბათის“ აუდიტორია

გარდა ამისა, მაყურებლისათვის ცნობილია, რომ შპს „მთავარ არხის“ გადაცემა „მთავარი შაბათი“ ძირითადად პოლიტიკურ საკითხებს და მათ შეფასებას ეხება, რაც ზოგჯერ კრიტიკული და შოკისმომგვრელი გზით შეიძლება გადმოიცეს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ შპს „მთავარი შაბათი“ განკუთვნილი არის განსაზღვრული, ინფორმირებული

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Jersild v Denmark*, § 33

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Jersild v Denmark*, § 34

აუდიტორიისათვის, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური მოვლენების შეფასება და ესმის განთავსებული სიუჟეტების კონტექსტი.

შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა ეხელმძღვანელა ევროსასამართლოს მსჯელობით მის მიერ მოხმობილ საქმეზე *Jersild v Denmark* და სიუჟეტის მიზნისა და ინფორმირებული აუდიტორიის არსებობის გათვალისწინებით გადაწყვეტილება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ მიეღო, როგორც ეს ევროსასამართლომ გააკეთა ნახსენებ საქმეში.

დამატებით, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელი ორგანოს - Ofcom-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცალმხრივ განმარტებებს დააყრდნო, საჭიროდ მივიჩნევთ აუდიტორიის ინტერესებზე მსჯელობისას (რაც კომისიამ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთ საფუძვლად მიიჩნია) სწორედ OFCOM-ის მიერ ჩატარებული კვლევა მოვიხმოთ.

აღნიშნულმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა მაყურებლის დამოკიდებულებას შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და ჟესტების მიმართ, აჩვენა რომ უცენზურო სიტყვების ეთერში განთავსების შემთხვევაში, საზოგადოების მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა ჟურნალისტის ტონს - „მაყურებელი განსაკუთრებულად აქცევს ყურადღებას მიზეზებს, რის გამოც იყენებს ჟურნალისტი შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს (მაგალითად, იმისათვის რომ ასახოს რეალობა, გამოხატოს ემოცია თუ იმისათვის რომ საზოგადოება გააოგნოს“)[16]. კვლევის თანახმად ასევე დადგინდა, რომ მაყურებლისთვის მეტად მიუღებელი იყო ჟურნალისტის მხრიდან აგრესიული ტონი.

მოცემულ შემთხვევაში, მაყურებლისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ჟურნალისტის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა მაყურებლის გაოგნება, არამედ ეს იყო პოლიტიკური სატირა და სარკაზმი, რითაც მაყურებელი თავს შეურაცხყოფილად ვერ იგრძნობდა. შესაბამისად, აუდიტორიის დაცვის მოტივით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აზრს მოკლებულია, ვინაიდან მაყურებლისთვის აშკარა იყო, რომ სიუჟეტის მიზანი პოლიტიკური მოვლენების შეფასება იყო და არა ვინმეს შეურაცხყოფა.

და ბოლოს, კომუნიკაციების კომისია გადაწყვეტილებაში ციტირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას *Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy*, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ისეთ სენსიტიურ სექტორში, როგორიც არის აუდიო-ვიზუალური მედია, ჩაურევლობის ნეგატიურ მოვალეობასთან ერთად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ პლურალიზმს.“[17] თუმცა კომისიას დაავიწყდა აქვე მიეთითებინა, რომ პლურალიზმი მოიცავს სწორედ განსხვავებული- მათ შორის

[16] Ofcom, “Attitudes to Potentially Offensive Language and Gestures on TV and Radio”, 2016, 5 <https://www.ofcom.org.uk/__data/assets/pdf_file/0023/91625/OfcomQRG-AOC.pdf>

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy*, § 134

პროვოკაციული და შოკისმომგვრელი პროგრამების გავრცელების შესაძლებლობასაც, რომელიც კლასიკური სატელევიზიო გადაცემებისა და პროგრამების პარალელურად, სწორედაც რომ ამრავალფეროვნებს სამაუწყებლო ბადეს და მაყურებლამდე სათქმელი არაორდინალური გზით მიაქვს.

დასკვნა

GDI-ს მიერ კომუნიკაციების კომისიის მიერ „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივმა შეფასებამ აშკარა გახადა, რომ კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება დააყრდნო საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებების სუბიექტურ და მანიპულაციურ განმარტებებს, რაზე აპელირებითაც ცდილობს შეზღუდოს დემოკრატიული და პლურალური საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. სინამდვილეში, სწორედ საერთაშორისო დონეზე არსებული სტანდარტების ობიექტური შეფასება იძლევა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონოდ გამოცხადების საფუძველს, რომელიც მიზნად მაუწყებლის საქმიანობის შინაარსობრივ კონტროლს ისახავს და სავსებით ეწინააღმდეგება არამხოლოდ კონსტიტუციურ სტანდარტებს, არამედ სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკასაც.